პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 96 (18638) კვირა, 24 აპრილი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ქალიშვილებო და ჭაბუკებო, გეჯიოთად დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას!

იყავით ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის, შეგნებული მებრძოლები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკირველმაისო მოწოდებებიდან

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

23 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომთა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც მონაწილეობა იღებდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პარტიის რაიკომების უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების, მსხვილი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

კრების მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის გაძლიერების ღონისძიებანი.

აქტივის კრების წინ მისი მონაწილენი შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს გ. ა. ანდრონიკაშვილს, გ. ვ. კოლბინს, ჯ. ი. პატიაშვილს, ნ. ა. ჭითანავას, ს. ე. ხაბეიშვილს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. გ. ვარძელაშვილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგეს ფ. კ. შარტავას, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. გ. ლორთქიფანიძეს. გაიმართა დაინტერესებული სჯა-ბაასი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების შემდგომი სრულყოფის საქმეში საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა წინაშე დასახული საარსებო პრობლემების შესახებ.

აქტივის კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.** მან თქვა:

ამხანაგებო!

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება ეძღვნება პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი განვითარების აქტუალურ საკითხებს.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო სისტემის განვითარების საკითხებზე აქტივის მონაწილეს იდეა დიდი ხანია აღგვიძრა. ამის მიზეზი ბევრია, და ისინი ჩამოყალიბებულია ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში, ოღონდ ამ აქტივის მონაწილეებს დაურიგდათ. მაგრამ ასეთი მასშტაბით საკითხის განხილვის საჭიროება საბოლოოდ გაბაზდგრა „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებამ.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პოლიტიკური პროგრამაა, რომლის საფუძველზე პროფტექგანათლების ორგანოები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები წარმართავენ მუშაობას იდეურად მტკიცე, შრომისმოყვარე, პრინციპული, გონიერი, განათლებული, ჩვენი ხვალინდელი დღის შემოქმედთა აღზრდისა და სწავლებისათვის.

ამ აქტივის მნიშვნელობას, მის საქმიან განწყობას, უთუოდ, განსაზღვრავს პატიცემული სტუმრების აქ ყოფნაც.

ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით გულითადად მივესალმო და მადლობა მოვახსენო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბულგაკოვს, რომელმაც მეტად ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი განვითარებისათვის. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე არა მარტო საქართველოს სტუმარი, არამედ ჩვენი კრების ყველაზე აქტიური მონაწილეც არის. მისი რეკომენდაციები, რომლებიც გამოთქვა სასწავლებლების დათვალიერების, პროფტექგანათლების აქტივთან შეხვედრების დროს, უეჭველია, აისახება საქართველოს პროფტექგანათლების მუშაკთა კონკრეტულ საქმეებში.

მადლობას მოვახსენებთ ამხ. გენადი სერგის ძე სტრიჟოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგის მოადგილეს იმის გამო, რომ გამოიჩინა ინიციატივა მონაწილეობა მიეღო აქტივის მუშაობაში და გამოთქვა საყურადღებო რჩევა-დარიგებანი მთელ რიგ მნიშვნელოვან გადასაწყვეტ პრობლემათა გამო.

ჩვენი აქტივის მუშაობაში მონაწილეობს აგრეთვე სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი, ორგანიზაციულ-ტერიტორიული სამმართველოს უფროსი ამხ. ვლადიმერ პეტრეს ძე ხლოპიკოვი.

ჩვენი აქტივის მუშაობა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა საქართველოს შრომელები, ისევე როგორც საბჭოთაის ყველა მშრომელი, თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ შეასრულონ დავალებანი „მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე შუაგული წლისა“, როგორც მას მოსწრებულად, ხატოვნად უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა. ეს წელი აღინიშნა საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ახალი შრომითი წარმატებებით.

ჩვენი აქტივის მუშაობა მიმდინარეობს სოციალისტური ბართლწესრიგისა და დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების, საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მთავარ მიმართულებებზე მეი ძალებისა და საშუალებების თავმოყრის ატმოსფეროში.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკთა აქტივი ასეთ დონეზე პირველად იმართება. სახალხო მეურნეობის განვითარების დიალექტიკა, მისი პერსპექტივები, დემოგრაფიული ბალანსის პროგნოზები და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრობლემები მწვავედ და თვისებრივად სხვა თვალსაზრისით გვისახავენ მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადების პრობლემებს. ამაზე დაწერილებით არის ლაპარაკი მოხსენებაში.

განსაკუთრებით მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო რამდენიმე საკითხს. პროფტექგანათლების სისტემა მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს ახალგაზრდა ცვლის სწავლებასა და აღზრდას, წარმოების, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლებს.

დღეს უკვე აღარ შეიძლება ძველებურად მუშაობა, ხვალ კი მით უმეტეს. ჩვენ უკვე დღეს ვამზადებთ ხვალინდელი დღის კვალიფიციურ კადრებს.

კოსმოსური საუკუნის, ატომური ენერგიისა და კომპიუტერების, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის საუკუნის მუშა საზოგადოებისათვის საჭირო ღირებულებებს ვერ შექმნის, თუ არ დაეუფლა შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის თანამედროვე საფუძვლებს.

ამოცანა ის არის, რომ თითოეული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი გადაიქცეს მოსწავლეთათვის შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის სწავლების ნამდვილ ლაბორატორიად.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას უნდა დაეხმარონ რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები, სამეცნიერო ცენტრები. ამაზე დღეს სერიოზულად და კომპეტენტურად უნდა ვისაუბროთ.

მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობ ებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების გრძნობის ჩანერგვასთან ერთად, ახალგაზრდობა უნდა ვაწრთოთ მუშური ტრადიციების, მუშური მორალისა და ეთიკის, მუშათა კლასის სულიერ ღირებულებათა სულისკვეთებით.

თითოეულ აღსაზრდელს უნდა ჩავუნერგოთ საბჭოთა ადამიანის, მოქალაქის, მუშის — ქვეყნის ბატონ-პატრონის საუკეთესო თვისებები.

როგორც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა აღნიშნა სტატიაში „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“, „სოციალისტური რევოლუციის მომხდენ ხალხს კიდევ დიდხანს დასჭირდება აითვისოს თავისი ახალი მდგომარეობა, — მთელი საზოგადოებრივი სიმდიდრის უზენაესი და განუყოფელი მფლობელის მდგომარეობა, აითვისოს ეკონომიკურად, პოლიტიკურად და, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიურადაც; გამოიმუშაოს კოლექტივისტური ცნობიერება და ქცევა. სოციალისტურად აღზრდილი ხომ მხოლოდ იმ ადამიანს ეთქმის, რომელსაც ანაღვლებს არა მარტო საკუთარი შრომითი წარმატება, კეთილდღეობა და ავტორიტეტი, არამედ აგრეთვე თანამშრომელი ამხანაგებისა და შრომითი კოლექტივის საქმეებიც, მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესები“.

რა თქმა უნდა, ფრიად მნიშვნელოვანია ახალგაზრდას ვასწავლოთ ტრაქტორზე ან პროგრამულ-რიცხვული მართვის თანამედროვე ჩარხზე მუშაობა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მან უკვე სასწავლებელში აითვისოს წარმოების ორგანიზაციის, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების მოწინავე ფორმების საფუძვლები და პრინციპები.

ახალგაზრდა მუშამ ჯერ კიდევ შრომითს კოლექტივში მისვლამდე უნდა იცოდეს, რა არის ბრიგადული სამეურნეო ანგარში, კოლექტიური იჯარა, შრომის უგანწესო ორგანიზაცია, კომპლექსური, გამჭოლი და სპეციალიზებული ბრიგადები და ა. შ. ამის იცოდნა საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ ახალგაზრდა მუშა თავისუფლად ერკვეოდეს შრომის ანაზღაურების არსებულ ფორმებსა და სისტემებში, არამედ თვითონაც იყოს სიახლეთა დანერგვის აქტიური მონაწილე, ახალ ცხოველმყოფელ ძალას ანიჭებდეს კოლექტივს, სადაც იგი მუშად მიკიდა.

ამოცანა ის არის, რომ თითოეული აღმზრდელი ეუფლებოდეს შედეგიანებული მუშათა კოლექტივებს ჩამოყალიბების შეცნიერებასა და ხელოვნებას, კოლექტივში ქცევის ნორმებს, აღზრდოს ახალგაზრდა მუშები, რომლებიც მზად იქნებიან პარტიის ყოველი დავალების შესასრულებლად. ამ მეცნიერების, ამ ხელოვნების საფუძვლები უნდა ვასწავლოთ მუშათა ცვლას უკვე დღეს, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში ახალგაზრდა მუშათა დამკვიდრების პრობლემის გადაწყვეტისთვისაც.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, მშობლიური სასწავლებლის კედლებს რომ დატოვებენ, ხვდებიან შრომითს კოლექტივებში, ესე იგი გარკვეულწილად ახალ გარემოში, სადაც უკვე შექმნილია შრომითი ტრადიციები, გარკვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, ურთიერთობა ადამიანებს შორის, აქვს შრომის თავისი ორგანიზაცია და ა. შ.

ბუნებრივია, ახალგაზრდა მუშას, თვით მაღალკვალიფიციურსაც კი, სჭირდება გარკვეული დრო, რაღაც პერიოდი ადაპტაციისათვის, რათა შეეთვისოს ახალ გარემოს, ასე ვთქვათ, „შეეგუოს“, შეერწყოს კოლექტივს.

ახალგაზრდა მუშებს ვითარების ამ შეცვლისათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები უნდა ამზადებდნენ. და რაც უფრო მაღალია ამ მომზადების დონე, მით უფრო მოკლე იქნება ადაპტაციის პერიოდი, მით უფრო მალე მოგვცემს ახალგაზრდა მუშა მისგან მოსალოდნელ ეფექტს.

სასწავლებლებიდან გამოდიან კვალიფიციური მუშებიც და მათი მომავალი წინამძღოლებიც, ბრიგადირები, უფრო დიდი მასშტაბის ხელმძღვანელები, წარმოების ორგანიზატორები. ყოველ მათგანს უნდა მივცეთ არა მარტო ცოდნა, არა მარტო პროფესიული ჩვევები, განათლება, არამედ მოქალაქეობრივი წრთობაც, მათ უნდა ჩავუნერგოთ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები, კოლექტივიზმის სულისკვეთება, ურთიერთდახმარება, კომუნიკაბელობა, გულგაბღენილობა, სხვების გაყოლიების, საერთო საქმისათვის მათი შეკავშირების უნარი.

მოხსენებასა და სხვა დოკუმენტებში აღძრული ესა და ბევრი სხვა საკითხი ჩვენი აქტივის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

იმედი გვაქვს, რომ აქტივის მონაწილენი ყურადღებით გაეცნენ მოხსენებასა და სხვა მასალებს. ჩვენ ვცდილობდით დაგვესვა კონკრეტული ამოცანები და პრობლემები, თავი აგვერიდებინა ზოგადი მსჯელობისათვის, ჩაგვეყარა ოთხმოცდაათ წლებში და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის საქმიანობის შესახებ აქტიური, პარტიული, პრინციპული საუბრის საფუძვლები.

ვფიქრობთ, რომ დასახული პრობლემების განხილვა ჩაივლის პარტიული, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის, კეთილმოსურნე დამოკიდებულებისა და ურთიერთმომხოვნელობის, მაღალი ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფეროში.

ვიმედოვნებთ, რომ აქტივის მონაწილენი ტრიბუნიდან აღძრავენ მწვავე საკითხებს, გამოთქვამენ კრიტიკულ შენიშვნებს, შემოიტანენ ბარათებს, შეკითხვებს ჩვენი კრების პრეზიდიუმში, ვფიქრობთ, რომ პრეზიდიუმის წევრებს სამუშაო არ მოაკლდებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ყველა დაინტერესებული სამინისტრო და უწყება დიდი ყურადღებით განიხილავენ ყველა თქვენს საკითხს, რეკომენდაციას, წინადადებას და სურვილს.

პრობლემები ბევრია. ყველა ვერ იტყვის დღეს სიტყვას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ დღევანდელი აქტივი პროფესიულ-ტექნიკური განათლების პრობლემებზე დიდი პარტიული სჯა-ბაასის დასაწყისია. ეს სჯა-ბაასი უნდა გაგრძელდეს პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ყველა რგოლში.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, გამოვთქვა რწმენა, რომ აქტივის კრება ჩაივლის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე და ორგანიზაციულ დონეზე და ღირსეულ წვლილს შეიტანს რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომ განვითარებაში.

ამხანაგ **ე. ა. შევარდნაძის** მოხსენებაში განსახილველ საკითხზე წინასწარ დაურიგდათ აქტივის კრების მონაწილეებს.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ტ. რიგვავა,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **რ. მ. ბუთბა,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. დ. ქინქლაძე,** ვანის № 118 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი **ს. ნ. ხარძეიშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **გ. ნ. ჯიბლაძე,** პარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი **ო. ა. ხრისტიანოვი,** ფოთის გემშენაკეთებელ-გემთმშენებელი ქარხნის დირექტორი **ზ. ნ. არჩაიძე,** თბილისის № 6 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, საწარმოო სწავლების ოსტატი **რ. დ. როჭიკაშვილი,** საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ზ. ა. კვაჭაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **გ. შ. ციციშვილი,** გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი, სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობის დელეგატი **მ. ა. ქიტესაშვილი,** რუსთავის № 86 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **პ. პ. ლობინცევა,** საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი **ლ. ლ. შარაშენიძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ი. შერვაშიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **რ. ა. გოგლიძე,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **ო. ნ. სულაძე,** პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნ. ა. კაკაურიძე,** საქართველოს გ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი **თ. ნ. ლოლაძე,** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **გ. ი. გვეტაძე,** თბილისის № 18 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი **ნ. მ. კუჭავა,** თბილისის № 75 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი **მ. პ. წერეთელი,** სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე **ფ. პ. ფუხაევა,** პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნ. მ. დუმბაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი **ი. ნ. ციციშვილი,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **ვ. ტ. გოგოლაძე.** პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ს. პ. ამირიძე.**

აქტივის კრებაზე გამოვიდა ამხანაგი **ა. ა. ბულგაკოვი.** (ა. ა. ბულგაკოვის სიტყვა გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება).

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, დასახა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაობის შემდგომი სრულყოფის ვრცელი პროგრამა. (საქინფორმი).

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

დამაჯერებელი ტემპი

სსრ კავშირის მრეწველობის მიერ 1983 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის მუშაკებმა 102 პროცენტით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის I კვარტალის გეგმა.

სამრეწველო წარმოების მატება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,7 პროცენტი შეადგინა. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,9 პროცენტით; ამ გზით მიღებულია სამრეწველო წარმოების მატების 85 პროცენტი. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და მასალატევადობა, გაიზარდა მოგება.

სამინისტროების სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები	პროდუქციის კვარტალური რეალიზაციის გეგმის შეს.	1983 წლის I კვარტალი პროცენტებით 1982 წლის I კვარტალთან შედარებით	
		წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	100,3	102	99
ნავთობის მრეწველობის	102	102	99,5
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	100,4	103	103
გაზის მრეწველობის	103	107	106
ქვანახშირის მრეწველობის	101	102	99,2
შავი მეტალურგიის	103	104	103
ფერადი მეტალურგიის	101	105	104
ქიმიური მრეწველობის	102	104	104
მინერალური სასუქების წარმოების	102	112	109
ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის	103	106	104
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	101	104	104
ელექტროტექნიკური მრეწველობის	102	108	108
ქიმიური და ნავთობქიმიური მანქანათმშენებლობის	102	108	108
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	102	107	106
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების	102	107	108
საავტომობილო მრეწველობის	103	104	104
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	102	107	106
მეცხოველეობის და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის	102	110	107
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	104	106	105
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის	102	107	107
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის	102	106	106
საშენ მასალათა მრეწველობის	102	106	106
მსუბუქი მრეწველობის	99,7	102	103
კვების მრეწველობის	103	106	106
ხილბოსტნეულის მეურნეობის	107	112	110
ხორცისა და რძის მრეწველობის	103	108	107
თევზის მეურნეობის	107	105	105
დამზადების	103	103	102
სამედიცინო მრეწველობის	101	108	107
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	104	119	115

მანქანათსაშენებელი სამინისტროების, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, დამზადების სამინისტროებისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს ხაზით, რომლებიც მთლიანად გადაყვანილი არიან ნორმატიული წმინდა პროდუქციის მიხედვით საქმიანობის დაგეგმვასა და შეფასებაზე, მონაცემები მოყვანილია ამ მაჩვენებლის შესაბამისად.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით (მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა) მოგვყავს ქვემოთ.

მოკავშირე რესპუბლიკები (მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა)	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეს.	1983 წლის I კვარტალი პროცენტებით 1982 წლის I კვარტალთან შედარებით	
		წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით
რუსეთის სფსრ	101	104,3	103,9
უკრაინის სსრ	102	104,6	103,9
ბელორუსიის სსრ	102	105,5	104,2
უზბეკეთის სსრ	102	106,0	103,0
ყაზახეთის სსრ	102	104,0	102,2
საქართველოს სსრ	102	105,5	104,5
აზერბაიჯანის სსრ	102	105,2	103,6
ლიტვის სსრ	103	106,2	105,6
მოლდავეთის სსრ	103	117,5	116,0
ლატვიის სსრ	102	103,6	103,7
ყირგიზეთის სსრ	102	102,0	101,2
ტაჯიკეთის სსრ	103	102,7	100,4
სომხეთის სსრ	102	103,2	100,7
თურქმენეთის სსრ	103	105,1	103,8
ესტონეთის სსრ	102	105,6	105,6

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმა შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ მთლიანად ქვეყანაში შეადგინა:	წარმებულია 1983 წლის I კვარტალში	1983 წლის I კვარტალი 1982 წლის პროცენტებით I კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	381	103
ნავთობი (მათ შორის გაზის კონდენსატი), მილიონი ტონა	153	102
გაზი, მილიარდი კუბური მეტრი	135	108

(დასასრული მე-2 გვ.)

მუდამ გვახსოვს, სიყვარულით ვცემთ პატივს

დრო ვერ წაშლის ხსოვნას. იგი დროზე უფრო ძლიერია. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ადამიანებს, რომლებმაც თანამედროვეთა ბედში ღრმა კვალი დატოვეს. ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის ერთიანმა დღემ, რომელიც 23 აპრილს მოეწყო საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში, დამაჯერებლად ცხადყო ეს.

თითოეულისათვის წმიდათაწმიდა ადგილები ამ დღეს განსაკუთრებით მორთული, მოვლილი, შეკეთებული, გამწვანებული იყო. ადამიანებმა იზრუნეს, და ამიერიდან ასე იქნება ყოველ წელს.

თბილისი

თვალსაჩინო რევოლუციონერის ვ. ჩოდრიშვილის სახელობის პრიზის პირველი ლაურეატი გახდა თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდა ზეინკალი გ. გოგატიშვილი. მასთან ერთად 23 აპრილს „პროფესიაში საუკეთესო“ კონკურსის სხვა გამარჯვებულებმაც მიიღეს პრიზები, რომლებიც დაიწესეს აქ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნის პატივსაცემად, ვინც შრომითი გზა დაიწყო ყოფილ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში.

ამ დღეს საწარმოში, რომლის მშრომელებმაც პირველებმა დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის გმირის მ. ქანთარიას წინადადებას რესპუბლიკაში ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის ერთიანი დღის მოწყობის შესახებ, ყველანი ოჯახებითურთ მოვიდნენ. აქ შეიკრიბნენ პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, ომთი ნათესავები და თანამებრძოლები, ვინც საქართველოს უძველესი სამრეწველო საწარმოს პირველ გმირულ ფურცლებს ქმნიდა. გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლის წინ, შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა კ. გუჯაბიძემ. იმაზე, თუ რა წარუვალი მნიშვნელობა აქვს ახალ ტრადიციას, რა როლს ასრულებს იგი მოზარდი თაობის აღზრდაში, ილაპარაკეს საწარმოს დირექტორმა ტ. ჯაბურმა, ცნობილი რევოლუციონერის გ. რთველაძის ვაჟმა — პ. რთველაძემ, რესპუბლიკის ერთ-ერთმა პირველმა სტახანოვცმელმა ი. ჭუმბურიძემ და სხვებმა.

ლენინის რაიონის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სასწავლებლებშიც მოიგონეს გარდაცვლილები, ვინც კეთილად მოსაგონარია. „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“. ასეთი იყო ვ. კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გამართული ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის თემა, რომელიც მოაწყვეს რაიონის პიონერებმა და მოსწავლეებმა.

მრავალი რევოლუციონერის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, პოეტისა და მწერლის სახელია დაკავშირებული საქართველოს დედაქალაქის ოქტომბრის რაიონთან. აქ მდებარეობს ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, ნ. ბარათაშვილის, მ. გორკის, ა. გრიბოედოვისა და სხვათა ძეგლები, რომელთა სახელებსაც ხალხი არ ივიწყებს. ყვავილებით, სიყვავილისა და პატივისცემის გამომხატველი სიტყვებით, ფიცით, რომ იქნებიან მათი ხსოვნის ღირსნი, აღნიშნეს 23 აპრილი, ახალი ტრადიციის დაბადების დღე, რაიონის მცხოვრებლებმა.

ცხრა ძმა ხერხეულიძის ობელისკთან, რომლებმაც თავი დასდეს უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მოვიდნენ რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეები.

ასობით ადამიანი მოვიდა კარლ მარქსის მოედანზე მდებარე № 2-8 სახლთან. აქ ცხოვრობდნენ ცნობილი მსახიობები თ. ჭავჭავაძე და ა. ვასაძე და მრავალი სხვა, რომლებმაც თავიანთი საქმეებით თაობათა სამარადჟამო ხსოვნა დაიმსახურეს. სახლის კედელზე 43 მემორიალური დფაა ინახავს მათ სახელებს.

დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის ასობით მშრომელი შეიკრიბა დღეს ლეგენდარული კამოს ძეგლთან. ისინი მოვიდნენ, რათა პატივი მიეგოთ ადამიანისა და რევოლუციონერისათვის, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული მათი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. აქ მოვიდნენ კამოს ქუჩის მცხოვრებნი, შრომითი კოლექტივების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ პარტიის ვეტერანები, ს. ტერ-პეტროსიანის (კამო) დისწულები ეკატერინა და მერი ხუტულაშვილები.

თინა იოსებიძის სახელობის სკკერი გაიხსნა ამ დღეს მაუდკომკოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ტერიტორიაზე...

მწერალთა და მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, რაიონის მრავალ საწარმოში, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებაში მოეწყო თანამშრომელთა და აჭლობელთა ხსოვნის მიტინგები,

(დასასრული მე-3 გვ.)

მუშათა ცვლის მომავლისათვის ზრუნვა პარტიული, სახელმწიფო საზრუნავია

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ა. ბულგაკოვის სიტყვა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

პატივცემულო ამხანაგებო!

აქტივის დღევანდელ კრებაზე დაინტერესებული სჯა-ბაასი მიმდინარეობს მუშათა კლასის ღირსეული შევსების ჩამოყალიბების პრობლემებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის შინაარსიან მოხსენებაში ღრმადაა განალიზებული რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების მდგომარეობა, დასახულია მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებანი.

საბჭოთა პროფესიულ სკოლას სამართლიანად უწოდებენ ლენინური პარტიის პირმშოს. პროფესიულ-ტექნიკური განთლების სახელმწიფო სისტემა განუხრელად ვითარდება როგორც სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების ძირითადი ფორმა. მეათე ხუთწლედში ქვეყნის მუშათა კლასის ახალგაზრდა შევსების ორმა მესამედმა პროფესია პროფტექნიკურ სასწავლებელში შეიძინა. მეთერთმეტე ხუთწლედში მათი ხვედრითი წილი უკვე თითქმის სამ მეოთხედამდე გაიზრდება.

განვლილ ხუთწლედში ძირითადად დადგა-ყდა პარტიის მიერ დასახული ამოცანა — საშუალო განათლების მქონე კვალიფიციურ მუშათა მომზადებაზე პროფტექნიკური განათლების სისტემის გადაყვანა. ამჟამად საშუალო და ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლობს ქვეყნის პროფტექნიკური განათლების დღის სასწავლებლების მოსწავლეთა 91 პროცენტი. საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლები ქვეყანაში ერთ-ერთი პირველები გადავიდნენ საშუალო განათლების მქონე კვალიფიციურ მუშათა მომზადებაზე.

წარმატებთან შესრულდა ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალებანი. პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებში მომზადებულია დაახლოებით 5 მილიონი კვალიფიციური მუშა იმ 13 მილიონიდან, რომლებიც ხუთწლედისათვისაა გათვალისწინებული სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით; 250-ით გაიზარდა სასწავლებლების ქსელი. ახლა ქვეყნის პროფტექნიკური განათლების 7,5 ათას სასწავლებელში 3 მილიონ 800 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი სწავლობს.

პროფტექნიკური განათლების სისტემა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის სულ უფრო მზარდი მოცულობით უზრუნველყოფს კვალიფიციურ მუშათა მომზადებას. წლითიწლობით სულ უფრო მეტი ფართო პროფილის კვალიფიციური მუშა ამთავრებს სასწავლებელს შეთავსებულ პროფესიებს დაუფლებული. მათ შეუძლიათ წარმატებით იმუშაონ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული და სხვა პროგრესული ფორმების პირობებში, მარტო ბოლო ორ წელიწადში შემოღებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად წარმოქმნილი 60-ზე მეტი ახალი პროფესიის მიხედვით მომზადება. მომდინარე წელს მუშებს შეასწავლიან მიკროსაპროცესორო საშუალებების გამოყენებით მანქანებისა და მოწყობილობის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებას.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კიდევ უფრო ვითარდება ახალგაზრდების პროფესიულ-ტექნიკური განათლება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლება თანამიმდევრულად იხვეწება. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი 1982 წელს ზედიზედ მეხუთედ დაჯილდოდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ეს კი, ამხანაგებო, არც ისე უბრალო საქმეა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობს პროფტექნიკური განათლების 149 ორგანო.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების ეს წარმატებები მიღწეულია რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებისა და ორგანოების ყველა მუშაკის უდიდესი შრომის შედეგად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, იდეოლობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, საბაზო საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების განუხრელი ხელმძღვანელობისა და ზრუნვის მეოხებით.

ესაარგებლობ შესაძლებლობით და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის სახელით გულწრფელად გიხდით მადლობას.

ყველას, ვინც დარბაზში ბრძანდებით, კარგად მოგეხსენებათ, რომ პროფტექნიკური განათლების სასწავლებელთა კურსდამთავრებულების უმრავლესობა თავდადებით შრომობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგში, ინდუსტრიის გიგანტების, უდიდესი მშენებლობების, აგროსამრეწველო კომპლექსების წამყვან პროფესიათა მუშების ბირთვი არიან, რომ ბევრი პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული არა მარტო კვალიფიციური მუშა, არამედ საზოგადოებრივად აქტიური ადამიანია; ათასობით მაგალითადან მხოლოდ ერთს მოვიყვან. მეათე და მიმდინარე ხუთწლედების ყველა წლის მანძილზე მაგნიტოგორსკის კომბინატის 35-ე ფოლადსამსხმელო ღუმელის კოლექტივი ფოლადის წლიური წარმოების რეკორდებს ამყარებს. ამ ღუმელთან მომუშავე 40 კაციდან 35 პროფტექნიკური განათლების სისტემის აღზრდილია, ხოლო მთავრობის ჯილდოებით დაჯილდოებული 15 კაციდან 13 პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულია.

აფასებს რა ამას, სკკპ ცენტრალური კომიტეტი პროფტექნიკური განათლების სისტემის განვითარების ახლანდელ ეტაპზე მოითხოვს ყურადღება მიგაპყროთ იმ უბნებს, სადაც ჯერ კიდევ სერიოზულად გვაქვს გასაუმჯობესებელი მუშაობა.

წარშან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა პროფტექნიკური განათლების სისტემის საქმიანობა და მიიღო დადგენილება „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ზრდის სწრაფი ტემპი და სისტემაში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებები საკმარისად არ იყო განმტკიცებული პროფტექნიკური განათლების ორგანოების, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საჭირო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით. სასწავლებლები საფანადოთ არ არიან უზრუნველყოფილი კარგი სასწავლო-მატერიალური ბაზით, ხელმძღვანელი და პედაგოგური კადრებით, ცუდადაა ორგანიზებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშავა და ახორციელებს პროფტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებებს. დასახულ გეგმებს დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა „პრიზმით“ ვუყურებთ. მუშათა ცვლის ჩამოყალიბებისათვის ბევრს გვაძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლები. მაგალითად, სტატიაში „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური შენებლობის ზოგიერთი საკითხი“ იგი, კერძოდ, ამბობს: „სოციალისტურად აღზრდილი ხომ მხოლოდ იმ ადამიანს ეთქმის, რომელსაც ანალოგებს არა მარტო საკუთარი შრომითი წარმატება, კეთილდღეობა და ავტორიტეტი, არამედ აგრეთვე თანამშრომელი ამხანაგებისა და შრომითი კოლექტივის საქმეების, მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესები“.

პროფტექნიკური განათლების სისტემის წინაშე დასახულია ამოცანა გადაჭრით გაუმჯობესოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, დაამყაროს სანიმუშო წესრიგი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, ცხოვრების მიერ წამოყენებულ თვისებრივად ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

რას ვგულისხმობთ სანიმუშო წესრიგით? ვფიქრობთ, რომ აქ არ არის ფვრილმანი, ყოველივე მნიშვნელოვანია. მთავარი კი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალი დონეა. სასწავლებლები კარგად უნდა ასწავლიდნენ და კარგად ზრდიდნენ ახალგაზრდებს. სასწავლებლებში სანიმუშო წესრიგი მაშინაა, როცა არ ხდება გაცდენები, როცა ობიექტურად აფასებენ მოსწავლეთა ცოდნას, არ ხდება წამატებები მეცადინეობის გაცდენაში, არ არის სამართალდარღვევები. იმათ შორის, ვინც უნდა ასწავლიდეს და ზრდიდეს - ახალგაზრდას, არ არიან ლოთები და თაღლითები, ამორალური ადამიანები, ზოგადი კულტურის დაბალი დონის მქონე პირები. ასეთი „პედაგოგებისათვის“ ჩვენი სასწავლებლების კარი მაგრად უნდა ჩაიჩაზოს!

იმის თქმა, რომ საქართველოს ყველა პროფტექნიკურ სასწავლებელში ჯეროვანი წესრიგია დამყარებული, ჩვენ, სამწუხაროდ, დღეს არ შეგვიძლია.

მრავალი წლის მანძილზე რესპუბლიკის პროფტექნიკურ სასწავლებლებში კვლავ მეტად დიდია სასწავლო დროის დანაკარგები. ხუთწლედის ორ წელიწადში საქართველოს სასწავლებლებიდან მოსწავლეთა განთესვამ დაახლოებით 9 ათასი კაცი შეადგინა, რაც რეკუბლიკის პროფტექნიკური განათლების 20 სასწავლებლის, მაგალითად, ისეთი ქალაქების ყველა სასწავლებლის „უმ8 გამონაბოლქვს“ უდრის, როგორიც არის ქუთაისის და რუსთავის.

ობიექტურად უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივების მეცადინეობის მეშვეობით ბოლო წლებში მოსწავლეთა შორის სამართალდარღვევების რიცხვი მცირდება, მაგრამ ამას არ უნდა დავჯერდეთ. ჩვენს წინაშე ხომ დასახულია ამოცანა მთლიანად აღმოვფხვრათ დამნაშავეობა.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ღრმად უნდა გაერკვეს თითოეულ სასწავლებელში ნაკლოვანებებისა და დარღვევების მიზეზებში და მიაღწიოს მათ აღმოფხვრას.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოსწავლეთა აქტივი ჯერ კიდევ საკმარისად არ აზდენენ გავლენას დისციპლინის მდგომარეობაზე, მოსწავლეებს სუსტად უნერგავენ მოვალეობისა და საკუთარი საქციელისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამოცანად დაგვისახა ავამაღლოთ პროფტექნიკური სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობა, მეგრძძოლურობა, გავაძლიეროთ მათი როლი მოსწავლეთა კოლექტივებში შეკავშირებაში, მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში, ამასთან მივაღწიოთ სწავლასა და შრომაში თითოეულის გულმოდგინებას, დისციპლინირებულობას, სანიმუშო ქცევას. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ვთხოვთ ყურადღება მიაპყროს იმას, რომ ხშირად იცვლებიან სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნები, რაც, რასაკვირველია, გავლენას ახდენს სწავლებლებში კომკავშირის მუშაობის დონეზე.

ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა — ყოველმხრივ ავამაღლოთ სასწავლებლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის აღზრდის მდგომარეობისა და შედეგიანობისათვის. ამასთან დაკავშირებით ღრმად უნდა გავაანალიზოთ უკლებლივ ყველა სასწავლებელში კადრებთან დაკავშირებული საქმის ვითარება და პარტიული კომიტეტების დახმარებით სასწავლებლები განვამტკიცოთ უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელებით, მხედველობაში მაქვს სასწავლებლის დირექტორები, აგრეთვე გამოცდილი სპეციალისტებით, რომლებსაც პედაგოგური მუშაობის მიდრეკილება აქვთ. ეს მთლიანად ეხება საქართველოს სახელმწიფო კომიტეტსაც და მის ორგანოებსაც.

ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა საწარმოო სწავლების ოსტატთა ნაკლებობა. სამწუხაროდ, რესპუბლიკის ყველა საწარმოში არა აქვთ შეგნებული მოწინავე მუშების წარმოებიდან სასწავლებლებში გაგზავნის დიდი მნიშვნელობა, მათ შორის არიან ისეთი განთქმული საწარმოები, როგორიცაა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, ელმავალსაშენებელი ქარხანა.

ვითვალისწინებთ რა პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის ახალი ტიპის კადრების მომზადების უაღრესად დიდ მნიშვნელობას, მზანშეწონილად მიგვაჩნია, თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის აგებული შენობის ბაზაზე შეიქმნას სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სვერდლოვსკის საინჟინრო-პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტი. აქ შესაძლებელი იქნება ინჟინერ-პედაგოგების მომზადება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის სასწავლებლებისთვისაც.

საქართველოს პროფტექნიკურ სასწავლებლებში ოსტატებსა და მასწავლებლებს შორის ცოტა არიან კომუნისტები, საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა 65 პროცენტი უპარტიოა. სერიოზულად უნდა ამაღლდეს სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების როლი. პარტიულ ორგანოებს ვთხოვთ ყურადღებით განიხილონ ეს საკითხები.

რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების ორგანოებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ სასწავლებლების საუკეთესო ოსტატების, პედაგოგებისა და აღმზრდელების, ახალგაზრდობის ისეთი დამრიგებლების გამოცდილება, როგორიც არიან სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ ცენტრალური სარეგიონო კომისიის წევრი, კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწე ვ. ქემაშვილი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მეშახტე ე. სვანიძე; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, გიორგი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ტ. როსტაშვილი; სოციალისტური შრომის გმირი, № 36 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ე. სოლომონია და მრავალი სხვა. საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემაში ხომ მუშაობს 6 სოციალისტური შრომის გმირი, 250-ზე მეტი ორდენოსანი, დაახლოებით 100 საწარმო სწავლების დამსახურებული ოსტატი, 12 დამსახურებული დამრგებელი. მართალია, წუხილით უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების მუშაკთა შორის არც ერთი არ არის სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი.

საჭიროა, რომ მოწინავეთა გამოცდილება თითოეულის მუშაობის ნორმა გახდეს. ბევრ მათგანზე ფიქრ ... [illegible]

[illegible]

[illegible]

[

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წნოგა

დამაჯერებელი ტემპი

(დასასრული)

ქვანახშირი, მილიონი ტონა	186	100,1
ფოლადი, მილიონი ტონა	37,9	103
შავი ლითონების ნაგლინი (მზა), მილიონი ტონა	26,4	102
ფოლადის მილები, მილიონი ტონა	4,7	106
რკინის მადანი, მილიონი ტონა	60,2	102
მინერალური სასუქები (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით), მილიონი ტონა	7,4	112
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (პირობითი ერთეულებით), ათასი ტონა	144	104
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	6,4	105
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, მილიონი ტონა	1,1	107
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი, ათასი ტონა	327	103
ავტოსაბურავები, მილიონი ცალი	15,8	100,6
ტურბინები, მილიონი კილოვატი	4,0	125
ცვლადი დენის ელექტროძრავები, მილიონი კილოვატი	13,5	104
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	538	104
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვის	140	116
საბჭედლო-საწნები მანქანები, მილიონი მანეთისა	167	109
პროგრამული მართვის ავტომატური მანიპულატორები (სამრეწველო რობოტები), ათასი ცალი	1,7	139
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	1069	108
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	743	111
ნავთობაპარატურა, მილიონი მანეთისა	54,1	104
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	206	106
მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	389	106
მაგისტრალური თბომავლები, ათასი ცხენისძალისა	968	100,3
მაგისტრალური ელმავლები, ათასი ცხენისძალისა	970	100,2
სატვირთო მაგისტრალური ვაგონები, ათასი ცალი	15,1	99,3
მსუბუქი ავტომობილები, ათასი ცალი	328	102
ტრაქტორები, მილიონი ცხენისძალისა	12,5	102
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთისა	862	109
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები, მილიონი მანეთისა	600	107
კომბაინები, ათასი ცალი:		
მარცვლეულის ასაღები	29,5	111
სიმინდის ასაღები	0,5	133
კარტოფილის ასაღები	2,5	93
ბარხლის ასაღები მანქანები, ათასი ცალი	2,5	101
ბამბის ასაღები მანქანები, ათასი ცალი	2,6	102
ექსკავატორები, ათასი ცალი	10,5	97
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა), მკვრივი, მილიონი კუბური მეტრი	99,8	99,9
ქაღალდი, მილიონი ტონა	1,4	107
აქედან გაზეთისა, მილიარდი კვადრატული მეტრი	7,5	103
ცემენტი, მილიონი ტონა	31,2	109
ასაწყობი რკინაბეტონი, მილიონი კუბური მეტრი	30	104
ყველა სახეობის ქსოვილები, მილიარდი კვადრატული მეტრი	2,9	104
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთისა	6,1	100,1
საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	415	101
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	193	102
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), მილიონი ტონა	2,2	107
ძეხვეული, ათასი ტონა	788	102
საკვები თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიარდი მანეთისა	1,4	113
ერბო-კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	212	123
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), მილიონი ტონა	6,5	107
მარგარინის პროდუქცია (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	401	107
მცენარეული ზეთი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	732	107
საკონდიტრო ნაწარმი, მილიონი ტონა	1,1	102
კონსერვები, მილიარდი პირობითი ქილა	2,9	111
მათ შორის ხორლბოსტნეულისა	1,7	115
სანაღები, მილიონი ცალი	17,7	103
ფეიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	220	105
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლისა), მილიონი მანეთისა	356	101
რადიომიმღები „მოწყობილობანი, მილიონი ცალი	2,3	108
ტელევიზორები, მილიონი ცალი	2,1	105
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	0,8	114
მაცივრები და საყინულები, მილიონი ცალი	1,5	100,9
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობისა კამერიანი	0,7	106
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	1,0	107
მოტოციკლები და მოტოროლერები, ათასი ცალი	285	100,8
ავეჯი, მილიარდი მანეთისა	1,7	106

შესრულდა ნავთობის, გაზის, ქვანახშირის მოპოვების, შავი ლითონების მზა ნაგლინის, ფოლადის, მილების, ავტოსაბურავების, საბჭედლო-საწნები მანქანების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების, თბომავლების, ელმავლების, გაზეთის ქაღალდის, ასაწყობი რკინაბეტონის, მინერალური სასუქების, ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის სხვა ტექნიკის წარმოების გეგმა.

უპირატესი ტემპით დიდდებოდა ეკონომიურ სახეობათა ლითონპროდუქციის, სამრეწველო რობოტების, რადიოელექტრონული აპარატურის, რიცხვული პროგრამული მართვის და „დამმუშავებელი ცენტრის“ ტიპის ლითონსაჭრელი ჩარხების, მანქანებისა და უფრო მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მქონე მოწყობილობის „გამოშვება.

უზრუნველყოფილია მეტ წილ სახეობათა სახალხო მოხმარების საქონლის, კერძოდ, ბამბისა და სელის ქსოვილების, საკვები თევზის პროდუქციის, ერბო-კარაქისა და მცენარეული ზეთის, მოუხდელი რძის პროდუქციის, ფაიფურ-ქაშანურისა და სორტული ჭურჭლის, ტელევიზორების, რადიომიმღები მოწყობილობის, სარეცხი მანქანების, ავეჯის წარმოების დაგეგმილი მატება.

ამავე დროს, შავი მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკის, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდება დადებულ ხელშეკრულებათა შესასრულებლად მიღებული განწესების შესაბამისად.

ვერ შესრულდა სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფის, ცვლადი დენის ელექტროძრავების, სამასალე მერქნის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ტყავის ფეხსაცმლის წარმოების გეგმა. ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულებისა და დაგროვების გეგმები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებანი.

გრძელდებოდა მოქმედი საწარმოებისა და საამქროების ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია, პროგრესული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა. ათვისებულია და დაიწყო 700-ზე მეტი ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის გამოშვება.

მრეწველობის გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივები ახორციელებენ წარმოების ინტენსიფიკაციის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის გამოშვების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობას.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოგოველია კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკური გაზეთი „**სოვეტ გურჯისტანი**“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 18 აპრილი.

ძალებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების აყვავების ხანაში აღნიშნავს თავისი 60 წლის იუბილეს გაზეთი „სოვეტ გურჯისტანი“ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო. გაზეთის მიერ განვლილი გზა, მისი ისტორია საქართველოს კომუნისტური პარტიის— ჩვენი ლენინური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის — ისტორიის მკაფიო ასახვაა. გაზეთის ყოველი ნომერი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის გმირული ბრძოლის ამაღელვებელი მატიანეა.

იუბილარი გაზეთის ხმა პირველად გაისმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთი თვის შემდეგ. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის მარტში სახელწოდებით „კომუნისტი“. მაგრამ მე-19 ნომრის შემდეგ მან არსებობა შეწყვიტა: არ ჰყოფნიდა კადრები, არ იყო პოლიგრაფიული ბაზა. გაზეთი აღდგენილ იქნა 1922 წლის იანვარში სახელწოდებით „ენი ფიქირი“ („ახალი ბრძოლა“). ერთი წლის შემდეგ, 1923 წლის 15 იანვრიდან იგი გახდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ორგანო. გაზეთი პროპაგანდას უწევდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის იდეებს და დიდად პოპულარული იყო არა მარტო საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა შორის, არამედ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. იგი ვრცელდებოდა შუა აზიაში, აგრეთვე თურქეთსა და ირანში.

„ენი ფიქირი“ ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული ფაქტებით პროპაგანდას უწევდა ახალ ცხოვრებას, პარტიას ეხმარებოდა შრომისადმი, საყოველთაოსახალხო დოვლათისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მასების აღზრდაში, აკრიტიკებდა წარსულის გადმონაშთებს, დაუნდობლად ებრძოდა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ნარჩენებს. გაზეთებთან „კომუნისტთან“, „ზარია ვოსტოკასთან“, „მარდაკჩოთან“ ერთად „ენი ფიქირი“ მტკიცედ შეუდგა ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის გაერთიანების განმტკიცებისათვის ბრძოლას და დევიზად აიღო ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ, მათი ძმადრო კავშირი შექმნის ეროვნული მშვიდობის ხიმშუშს, რომელიც წარმოუდგენელია ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიულ წყობილებაში.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პროზიდიუმის გადაწყვეტილებით 1927 წლის 1 ივნისიდან გაზეთმა „ენი ფიქირმა“ შეწყვიტა გამოსვლა, ხოლო ორი კვირის შემდეგ თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „ენი კეხი“ („ახალი სიტყვა“) — საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ორგანო. ფილიპე მახარაძის წინადადებით 1938 წელს მას სახელი შეუცვალეს და დაარქვეს ახლანდელი სახელი „სოვეტ გურჯისტანი“ („საბჭოთა საქართველო“).

გაზეთის ფურცლებზე თვალწინ წარმოგვიდგება ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის სახელოვანი წლები, პირველი ხუთწლედები, წარა-კითხვის ლიკვიდაციის პირველი სკოლა, კულტურული რევოლუციის პირველი შედეგები... რესპუბლიკაში ახალი ცხოვრების მშენებლობის ეპოქა, მათი ძალადობა ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნული ნიჰილიზმი, ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული ენა, ეროვნული ფერი, ეროვნული ხასიათი, ეროვნული ეთიკა, ეროვნული ესთეტიკა, ეროვნული ფილოსოფია, ეროვნული ფსიქიკა, ეროვნული ინსტინქტი, ეროვნული ინტერესი, ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ე�sულ ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ტ. ი. საყვარელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ტარიელ ოთველის ძე **საყვარელიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.
1983 წლის 20 აპრილი.

ქართული თეატრის უანგარო მსახური



საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ტარიელ საყვარელიძეს 60 წელი შეესრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად 21 აპრილს მარჯანიშვილის თეატრში წარმოდგენილ იქნა რიგითი სპექტაკლი „მადამ სან-ჟენი“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს — ნაპოლეონ ბონაპარტეს ტ. საყვარელიძე ასრულებს.

მართალია, იუბილარმა არ მოისურვა თავისი 60 წლისთავის ოფიციალურად საზეიმო ‘ვითარებაში აღნიშვნა, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივმა, მისმა კოლეგებმა მოულოდნელად სიურპრიზი მოუწყვეს; როცა დაცხრა მაყურებლის ტაში, იუბილარს ერთ წუთს (თუ წამიერად) გამოეცხადნენ ნაცნობი გმირები, საყვარელი პარტნიორები მაია წყნეთელი (ე. ყიფშიძე), სოსოია და ხატია (ა. მიქაძე და ნ. ჩიქვინიძე), კაროფნა და ოსიკო (ნ. ბერიაშვილი და შ. მშვენიერაძე), ივდითი და ურიელი (ს. ჭიაურელი და კ. მახარაძე). კინოკადრივით გაიელვა მოგონებებმა. ექსპრომტად გათამაშებულ სცენებში აქა-იქ ძალაუნებურად რეტლიკებით ერთვებოდა იუბილარიც.

ტ. საყვარელიძეს მიესალმნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ახჯაფარიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. იაქაშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ალექსიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ტრიპოლსკი, ს. თაყაიშვილის გამოგზავნილი წერილი წაიკითხა მსახიობმა ა. ტყაბლაძემ. ტ. საყვარელიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და მშობლიური თეატრის კოლექტივს.

* * *

„გამოცდილება აქვს, ნიჭიერება არ აკლია, ხმა და ტემპერამენტი ღმერთმა არ მოაკლო, და გონიერ მსახიობს სხვა რაღა უნდა.. შემდგომი წლები ხომ თვის სიბერძნესაც დაუმატებენ...“ — თქვა ვასო გოძიაშვილმა ათი წლის წინათ ტარიელ საყვარელიძის შესახებ. დიდი მსახიობის სიტყვები გამართლებულად (თუ ახდენილად) ჩანს დღეს, როცა ტ. საყვარელიძე დარისპანს განასახიერებს.

თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ სპექტაკლში ორგინალურად დანახულ კლდიაშვილის სამყაროში შთამბეჭდავია ტ. საყვარელიძის სცენური გმირი. ქალიშვილის ბედის საძებრად ყარდაკარ მავალი იმერელი აზნაურის გამოუვალი მდგომარეობა რეჟისორისა და მსახიობის მიერ ამოხსნილია ზუსტად მიგნებული დეტალებით, სადაც ნაკლებად მოჩანს დარისპანის გასაცოდავებული ქცევის მანერა, ნიღვლიანი იუმორით შემკული სიტყვა-პასუხი. ტ. საყვარელიძის დარისპანს დაკნინების მიუხედავად თავაზიანობის ანარეკლი და რაღაც თავისებური პეწი მაინც შერჩენია. გმირისათვის ჩვეულ გაჭირვებაზე ჩვილს აქა-იქ ენაცვლება ერთგვარი პროტესტის მსგავსი გულისთქმა, კლდიაშვილის გმირის სულიერ ტკივილებს ნათლად რომ ამღლვენებს...

...ტ. საყვარელიძე ლეგენდარული მთამსვლელების ჯაფარიძეების ოჯახში აღიზარდა. მისი შემოქმედებითი ცხოვრება 1941 წელს ქუთაისის თეატრში დაიწყო. პირველი დღეებიდანვე იგი გამოჩენილი ქართველი მსახიობის ა. იმედაშვილის ხელოვნების ტყვე შეიქმნა და დღემდე არ გაელეწებია ამ არაჩვეულებრივი ტრაგიკული მუზით მიღებული შთაბეჭდილება. ტ. საყვარელიძემ ქუთაისში 1946 წლამდე დაჰყო. შემდეგ ერთი სეზონის განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. მხატვრობით გატაცება (სწავლობდა, ოღონდ არ დაუთმავრებია თბილისის სამხატვრო სასწავლებელი) სამუდამოდ გადაფარა ნამდვილ მსახიობად გახდომის სურვილმა.

1947 წელს ტ. საყვარელიძე უკვე მარჯანიშვილის თეატრის დასის წევრი გახდა. იგი უმალ ეზიარა შ. ღამბაშიძის, ს. ზაქარიაძის, ვ. გოძიაშვილის, გ. ზაგარელიძის, პ. კობახიძის, ა. ჟორჟოლიანის, ა. კვანტარიანის, ვ. ანჯაფარიძის, ს. თაყაიშვილის შემოქმედებას და მათგან შეიძინა აქტიორული ხელოვნების პროფესიული ჩვევები. ხშირად ზოგიერთი მათგანის დუბლიორი იყო და მთავარ როლშიც მოულოდნელად მათი შეცვლაც კი უხდებოდა.

ამ ოსტატებთან პარტნიორობის შედეგად გამოიწრთო ახალგაზრდა მსახიობის ბუნებრივი აქტიორული შესაძლებლობანი. რეჟისორების ვ. ყუშიტაშვილის, ა. ჩხარტიშვილის, ვ. ტაბლიაშვილის, გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაეუფლა სცენის მრავალ საიდუმლოებას. ეს მისთვის შესანიშნავი წრთობის სკოლა გახდა. თანდათან გამოიკვეთა ტ. საყვარელიძის ინდივიდუალობა.

ტ. საყვარელიძეს ხელეწიფება როგორც გმირულ-ჰეროიკული, ისე სახასიათო, კომიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის გმირთა შესრულება. მისი ომახიანი, მტკიცე ხმა შეესიტყვება ტრაგიკულ განწყობილებას და ამაღლებულ პათოსს. უმთავრესად ხმის საშუალებით აღწევს შინაგანი ექსპრესიის და ემოციის გამოვლენას. ამავე დროს ხატოვანი სცენური გამომსახველობითი საშუალებებით და იუმორით ვლინდება მისი მკვეთრად სახასიათო, ზოგჯერ გროტესკული როლები. კიდევ ერთი თვისება აქვს ტ. საყვარელიძეს: მას ძალა შესწევს მასშტაბურად გაზარდოს მხატვრული სახე, პატარა ეპიზოდური პერსონაჟიდან შექმნას განზოგადებული სცენური იერსახე, რომელიც ტიპური ეროვნული ნიშნებით იქნება მდღმოსილი. ამის სამაგალითოდ გ. ლორთქიფანიძისეულ სპექტაკლებში განსახიერებული ამბაკო („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) და სამხედრო მასწავლებელი („მე ვხედავ მზეს“) იკმარებდა. ტ. საყვარელიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში გამოირჩევა ეანრობრივად მრავალფეროვანი სცენური სახეები: მეფე ერეკლე („მეფე ერეკლე“ და „მაია წყნეთელი“), ტოზო („გამახარე“); ჭუჭა („მოკვეთილი“), მანუჩარი („ალმეფურნის ქორწინება“), დე სილვა, დე სანტოსი („ურიელ აკოსტა“), ოთარ ბეგი („ღალატი“), მაკო („ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“), გრაფი შუსბერი („მარიამ სტიუარტი“), კლარენსი („რიჩარდ მესამე“), კოშონი („ეანა დარკი“), უცნობი („ლეგენდა საყვარულზე“), ტალანოვი („შემოსევა“), დომინგო („დონ კარლოსი“), გერასიმე გარაყანიძე („დღის წესრიგშია ერთი საკითხი“), სილიბისტრო („კვაჭი კვაჭანტირაძე“).

ჭაღრაკის დაფებთან

ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში დასასრულს მიუახლოვდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები. ზოლტან რიბლიმ (უნგრეთი) და ეუგენიო ტორემ (ფილიპინები) მეოცე პარტია ითამაშეს და 23-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ახლა ანგარიშია 4,5:3,5 რიბლის სასარგებლოდ. ნანა ალექსანდრიას ლემანჩკოსთან (შეეიცარია) მატჩის მეცხრე პარტიის წინ ტაიმ-აუტი აიღო, ეს პარტია დღეს გაიმართება. ჯერჯერობით ანგარიშია 5:3 ალექსანდრიას სასარგებლოდ.

მოსკოვში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა), მეთოთხმეტე ტურში გელერმა დაამარცხა იუსუპოვი. დაზავდნენ პეტროსიანაგაზამოვი, ვაპანიან-რაზუკაევი, ბელიავსკი-ტუკმაკოვი, მალახიუკკარპოვი. გადაიდო რომანიშინ-ბალაშოვის და ლერნერ-პოლუგაევსკის პარტიები. ამ დღეს თამაშიდან თავისუფალი იყვნენ ფსახისი და აზმაიფარაშვილი. ლიდერობს კარპოვი, რომელსაც 13 შესაძლებლიდან 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

იაროსლავლში მიმდინარე ჭაბუკ მოჭადრაკეთა ფსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი შეჯიბრების მეთერთმეტე ტურში თბილისელმა გია გიორგაძემ ყაიმით დაამთავრა შეჯიბრა ვ. სალოვთან. ლიდერთა ჯგუფში არიან სალოვი — 7 ქულა (1 გადადებული), გიორგაძე და ოლი — 6,5-6-5 ქულა (თითო გადადებული).

თბილისში გრძელდება „დინამოს“ X საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული საჭადრაკო ტურნირი. მეშვიდე ტურში საქართველოსა და უკრაინის გუნდების შეხვედრაში ცხარე ბრძოლა გაიმართა. არახამიამ სძლია როზენცვაიგს. ვაჟთა დაფებზე ზაიჩიკი დამარცხდა ზაიდთან, ხოლო უბილავამ, რომელმაც ამ შეჯიბრებაში თავის გუნდს ყველაზე მეტი ქულა მოუტანა, სძლია გოფშტეინს. საქართველოს გუნდი დაწინაურდა ანგარიშით 2:1. უკრაინელებს კარგი შესაძლებლობა აქვთ საერთო ჯამში მაინც ყაიმს მიაღწიონ. გუფელდს, რომელსაც მოსაგები პოზიცია ჰქონდა კლოვსკისთან, მძიმე შეცდომა მოუვიდა და გადადებულ პოზიციაში მისი მდგომარეობა უიმედოა. ტურნირის ცენტრალური შეხვედრა იყო მოსკოვისა და სომხეთის ნაკრები გუნდების მატჩი. აქ სამი შეხვედრა ყაიმით დასრულდა, ხოლო მეოთხე გადაიდო. კვლავინდებურად წინ არის მოსკოვის ნაკრები, რომელსაც 19 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური რჩება.

სატურნირო ორბიტა

ჰოკეი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები. გთავაზობთ მეხუთე ტურის ორი მატჩის შედეგებს: კანადა-ფინეთი — 5:1, გდრ-გფრ — 3:4.

ჩოგბურთი. ტაშკენტში დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრება ახალგაზრდა ჩოგბურთელებს შორის. თბილისელმა ვ. ხურდამ პირველ წრეში დამაჯერებლად მოუგო ტაშკენტელ ს. ივანოვს — 6:1, 6:2.

თანამედროვე ხუთჭიდი. ერევანში დამთავრდა 21-ე ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. პირველობა მოიპოვა ე. ზინკოვსკიმ (რსფსრ) — 5472 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ნოვიკოვი (სომხეთის I ნაკრები) — — 5430, მესამეზე — ე. ლიპეევი (სსრ კავშირის I ნაკრები) — 5379 ქულა. გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა — 15592 ქულა. მომდევნო ადგილებზე ბელორუსი ადგილები ხვდათ სომხეთისა და სსრ კავშირის I ნაკრებს გუნდებს — შესაბამისად 15552 და 15380 ქულა.

სპორტული ტანვარჯიში. ლოს-ანჯელესში გაიმართა სსრ კავშირის და აშშ-ს ვაჟთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. ეს მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა. პირად ასპარეზობაში დაწინაურდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ვლადიმირელი იური ალროლიოვი. მომდევნო ადგილებზე არიან პიტერ ვიდმარი (აშშ) და მოსკოველი დიმიტრი ბილოზერჩევი.

კალათბურთი. ქალაქ ბრემერხაფენში (გფრ) დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრება ვაჟთა გუნდებს შორის, სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი შეხვედრა შეიდებთან გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 117:84.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭყებია.

საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველო, საპროექტო ინსტიტუტი „საქალაქმშენსახპროექტი“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, არქიტექტორი

ზაქარია (შაქრო) ალექსანდრეს ძე ჟურდიანი.

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

23 აპრილი

ულოეთი

ფაქტები მოვლენები საკლასო იუწყება

24 აპრილი ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღეა

მეგობრობამ საზღვრები არ იცის

მბინდრო მეგობრობა აკავშირებთ ჩელიაბინსკის ქარხანა „თბოხელსაწყოს“ ამწყობთა კომკავშრომულ-ახალგაზრდულ ბრიგადას ლ. პანფინას მეთაურობით და ქ. ზომერდის (გდრ) „რობოტრონის“ სახალხო საწარმოს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის სოციალისტურ ბრიგადას. რამდენიმე წელიწადია ბრიგადები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მიღწევებსა და გამოცდილებას. მათ შორის დადებულია სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიულ დოსტატებას, ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებას.

ყოველწლიურად, შედეგებს რომ აჯამებენ, დაძმობილებული კოლექტივები ერთმანეთს აცნობებენ თავიანთ მოწინავეთა გვარებს, უგზავნიან ფოტოსურათებს. ამას წინათ გერმანელმა მეგობრებმა ჩელიაბინსკელებს მეგობრობის დროშა გამოუგზავნეს.

ზურათზე: ლ. პანფინას ამწყობთა ბრიგადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გამოგზავნილ დროშასთან.

საკლესიო ფოტო.

● **ამერიკა**

ჯ. შულცის მორიგი ვოიაჟი

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა არაოფიციალურ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში აგზავნის სახელმწიფო მდივანს ჯ. შულცს. შულცის მოგზაურობის ოფიციალური მიზანია, როგორც პრეზიდენტმა თქვა, ლიბანთან დაამთავრონ მოლაპარაკება ამ ქვეყნის ტერიტორიიდან უცხოელთა ყველა ჯარის გაყვანის შესახებ. თუმცა, ამერიკის პრესის აზრით, შულცი ახლო აღმოსავლეთში უწინარეს ყოვლისა იმისათვის მიდის, რომ სცადოს რეიგანის ყბადაღებული „ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების გეგმის“ გადარჩენა, რომელმაც სრული კრახი განიცადა.

● **იტალია**

პოლიტიკური კრიზისი

რომი. იტალიაში კვლავ გამწვავდა პოლიტიკური კრიზისი. იტალიის სოციალისტური პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ბ. კრაქსიმ ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განაცხადა, რომ სოციალისტები აპირებენ ალარ დაუპირონ მხარი მთავრობას პარლამენტში და მათ **საჭიროდ მიიჩნიეთ ვადამდელი პოლიტიკური არჩევნები.**

ამჟამად სოციალისტები შედიან მთავრობის კოალიციაში ქრისტიან დემოკრატებთან, სოციალ-დემოკრატებთან და ლიბერალებთან ერთად. მათი მხარდაჭერის გარეშე კაბინეტს არ ექნება პარლამენტში საჭირო უმრავლესობა.

მორიგი პოლიტიკური კრიზისი უწინარეს ყოვლისა გამოიწვია წინააღმდეგობებმა მთავრობაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის გზების შესახებ.

ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე

პანოი. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ჩინეთის მხარე კვლავ საარტილერიო ცეცხლს უშენს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრისპირა ტერიტორიებს. განსაკუთრებით საშიში იყო კაობანგის პროვინციის რაიონებისათვის ცეცხლის დაშენა. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დაზოგილები და დაჭრილები, მიაყენეს მატერიალური ზარალი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან მრავალგზის დაუშინეს ნაღმსატყორცნების ცეცხლი ავრეთვე ბატუნისა და ზოანგლიენშოხის პროვინციების ცალკეულ რაიონებს.

შეიქმნა ანგისიონისეული კომიტეტი

21 აპრილს გაიმართა მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. კრებაზე განიხილეს საბჭოთა მოჭალაქეების ჯგუფის ინიციატივა შეექმნას საბჭოთა საზოგადოებრიობის ანტისიონისტური კომიტეტი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ცხობილმა საბჭოთა მეცნიერებმა, კულტურის მოღვაწეებმა, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლებმა. საინიციატივო ჯგუფის მისამართით პრესაში მიმართვას გამოქვეყნების შემდეგ მოვიდა უამრავი წერილი და დეპეშა, რომლებშიც მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა საზოგადოებრიობის ანტისიონისტური კომიტეტის შექმნას და გამოთქვამენ სურვილს მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა საბჭოთა საზოგადოებრიობის ანტისიონისტური კომიტეტის შექმნას. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩეულია ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი დ. ა. დრაგუნსკი, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის სფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ს. ლ. ზივსი, მოადგილეებად — ახალი ამბების საგენტოს გამომცემლობის დირექტორის მოადგილე შ. ბ. კრუპკინი, „ლიტერატურნაია გაზეთას“ განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ი. პ. ბელიაევი და მწერალი ი. ა. კოლესნიკოვი. (საკდესი).

ტელევიზია

24 აპრილი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — დამოყვრებული ქალაქების მსოფლიო დღის გამო. 10.30 — „მაღვიძარა“. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — „ჯანმრთელობა“. 12.45 — „დილის ფოსტა“. 13.15 — შეხვედრები საბჭოეთში. 13.30 — სოფლის საათი. 14.00 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — „დამკვრელური კომკავშირულის სამი მისამართი“. ტელენარკვევი. 15.15 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი „მებუკე ანტონი“. 16.15 — მოგზაურთა კლუბი. 17.15 — „თქვენი წერილებიდან მიხედვით“. მუსიკალური გადაცემა. 18.00 — „რეგოლუციის მხედარი“. ეძღვნება ს. მ. ბუდიონის დაბადების 100 წლისთავს. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმები. 20.10 — მხატვრული ფილმი „ვიბორგის მხარე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. იტალიის ნაკრები — საბჭოთა კავშირის ნაკრები. შესვენებისას (23.10) — საფეხბურთო მიმოხილვა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მხატვრული ტელეფილმი „ანტონინა ბრაგინა“. I და II სერია. 11.30 — კონცერტი. 12.15 — ცხოველთა სამყაროში. 13.15 — სიმღერა-83. 14.15 — კინოს ოსტატთა შემოქმედებითი პორტრეტები. ანა მანიანი. 15.45 — ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. 16.15 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.45 — „გზანი წამებისანი“. XII სერია — „გარიერეეი“. 18.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ფინეთის ნაკრები — შვეიცის ნაკრები. 20.30 — ევროპის ჩემპიონთა თასი ხელბურთში. ვაუები. ფინალი. ცსკა — „ვულ-გუმურბაბი“ (გფრ). 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — „საუბრები მხატვრებზე“. ვ. სოკოლი. 21.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „მხიარული რომანი“.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ზოამბე“. 10.10 — „ხსოვნის დღე“. 10.30 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — „საკვირაო გამოფენა“. 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი — „სამი მეზობელი“. 12.00 — „ჯანმრთელობა“. 12.45 — „ქმაღი ნათელი“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკაკი ხერხეულიძე“. 13.15 — „საკვირაო გამოფენა“. 13.20 — „ქვალი ნათელი“ — გადაცემა „ბახსენება“. 13.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეეგზამენი (სტუდიაში ლიდენტი თ. კვაჭანტირაძე). 14.25 — მოსწავლეთათვის — „ჩვენ ვუკრავთ მოცარტს“. 15.05 — „საკვირაო გამოფენა“. 15.10— „ქვალი ნათელი“. ახალგაზრდობისათვის — „გ. ჩიქოვანის გახსენება“. 15.50 — „უკრავს მარგარიტა ჩხეიძე“. 16.15 — „საკვირაო გამოფენა“. 16.20 — „ვექტორი“. 16.50 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“. 18.55 — „საკვირაო გამოფენა“. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (8.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.00—„მოამბე“. 20.30 — „ბალეტის მოყვარულთათვის“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე“. 22.40 — ხალხური სიმღერის მოამაგე — მ. ყეიღარი. 23.25 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. იტალიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები.

თეატრი

24 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ნაცარქექია (დღისით), რომეო და ჯულიეტა (საღამოს, 33-ე აბონ. X წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ათვინიერებენ მიმინოს (დღისით), ამპერსტის მშვენება (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ასის წლის წინათ (დღისით, 17 აპრილის დღის სპექტაკლზე შეძენილი ბილეთები ვარგისია); ანა კარენინა (საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული — კომბლე (II აბონ. III წარმ.); კინომსახიობთა თეატრი — საქმე; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მოგდიავართ და მოვიმღერით (დღისით), კუკკას ქორწილი (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრები; მეტეხის თეატრი — ქართული ნოველების საღამო.

კომუნისტი ინდექსი 66434 უე 06316 საქართველოს კპ ცკ-ის, საქმოსაცენტლობის, ეროვნის, ეროვნული ეროვნული ეროვნული